პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო მონაკვეთისთვის და ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V ჩიხისთვის გენერალ-მაიორის ზაურ უჩაძეს სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხს მიენიჭოს გენერალ-მაიორის ზაურ უჩაძეს სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო მონაკვეთს მიენიჭოს გენერალ-მაიორის ზაურ უჩაძეს I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ბოლოს ხაზის ქუჩა
ბოლოს ხაზის ქუჩა
ბოლოს ხაზის ქუჩა

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00015196

22/04/2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მიმდინარე წლის 18 მარტს შემოვიდა ა(ა)იპ ,,საქართველოს გენერალთა კლუბის" აღმასრულებელი დირექტორის №4/1 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის №10405) ქ. ერთ-ერთი ქუჩისთვის, კერძოდ გოგოლაურის პირველი შესახვევის №5 ჩიხისთვის გარდაცვლილი გენერალ-მაიორის ზაურ უჩაძის სახელის მინიჭების შესახებ.

გაცნობებთ, რომ გენერალ-მაიორი ზაურ უჩაძე იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი.

აღსანიშნავია, რომ ზაურ უჩაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში; სხვადასხვა დროს იყო ეროვნული გვარდიის პირველი ბატალიონის მეთაურის მოადგილე, განსაკუთრებული დანიშნულების პოლკის ბატალიონის მეთაური, ბრიგადის მეთაური, საქართველოს შეიარაღებული ძალების კენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი, თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის მეთაური, დასავლეთის მიმართულების სარდალი. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი.

სამშობლოს დაცვაში გამოჩენილი მამაცობისთვის, გენერალ-მაიორი ზაურ უჩაძე დაჯილდოებულია მედლით ,,მხედრული მამაცობისთვის" და ვახტანგ გორგასლის III და II ხარისხის ორდენებით. ზაურ უჩაძე გარდაიცვალა 2022 წლის 17 ივნისს.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
დირექტორი
გენერალ-მაიორი
კობა კობალაძე

01227026493

საქართველო
გარდაცვალების მოწმობა

N 01227026493

1	სახელი ზაური		
2	გვარი უჩაძე		
3	სქესი მამრობითი		
4	მოქალაქეობა საქართველო	5	პირადი ნომერი 60002007004
6	დაბადების თარიღი 31 იანვარი 1952 წელი		
7	დაბადების ადგილი საქართველო, თბილისი,		
8	გარდაცვალების თარიღი 17 ივნისი 2022 წელი		
9	გარდაცვალების ადგილი საქართველო, გორი		
10	გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი 17 ივნისი 2022 წელი	11	აქტის ჩანაწერი N 67227001602
12	მოწმობის გაცემის თარიღი 18 ივნისი 2022 წელი		
13	მოწმობის გამცემი ორგანო სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური		

უფლებამოსილი პირი: ჯაბა შარვაძე

ხელმოწერილია
ან/და შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ იუსტიციის სახლი
ელექტრონული დოკუმენტის გაფორმებული ასლი
სახელი/გვარი
თანამდებობა
221 "12" 06 20 22 წ.
ხელმოწერა

დოკუმენტი არის ელექტრონული. სააგენტოს ვებ გვერდზე (http://sda.gov.ge) შესაძლებელია გადამოწმდეს ინფორმაცია - მოქმედია თუ არა მოწმობა. ამ დოკუმენტის ვებ გვერდიდან (http://sda.gov.ge) ჩამოტვირთვა შესაძლებელია ACT0540754115 ნომრით 1 წლის განმავლობაში.

საქართველოს გენერალთა კლუბი

Generals' Club of Georgia

ქ.თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. 1
მობ: 595 224 747
E-mail:generalsclub2008@gmail.com
Web-site: www.generals.ge

1 str. Sarajishvili, Tbilisi, Georgia
Cell: 595 224 747
E-mail:generalsclub2008@gmail.com
Web-site: www.generals.ge

№ „ 4/1 "

18 მარტი 2024 წ.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო
სამსახურის დირექტორს
გენერალ-მაიორ **კობა კობალაძეს**

ბატონო კობა!

„საქართველოს გენერალთა კლუბი" მოგმართავთ თხოვნით, გვიშუამდგომლოთ ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ **გიორგი ტყემალაძის** წინაშე, რათა ქ.თბილისის საკრებულოსთან არსებული კომისიის მიერ განხილულ იქნას საკითხი, ქ.თბილისის გოგოლაურის პირველი შესახვევის N 5 ჩიხს მიენიჭოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის, აწ. გარდაცვლილ **„გენერალ-მაიორ ზაურ უჩაძის"** სახელი. (ჩიხი ამ ეტაპზე უსახელოა).

აღნიშნულ მისამართზე მაცხოვრებელი მოსახლეობის ხელმოწერებს და გენერალ-მაიორ ზაურ უჩაძის საბრძოლო მასალების მოკვლევას კომისიისათვის წარსადგენად დანართის სახით „საქართველოს გენერალთა კლუბი" გაუკეთებს უზრუნველყოფას.

პატივისცემით,

"საქართველოს გენერალთა კლუბის"

აღმასრულებელი დირექტორი **მალხაზ ჩიხლაძე**

19.03.24

ზაურ უჩაძე

(1952-2022)

გენერალ-მაიორი, ეროვნული გვარდიის ბრიგადის მეთაური, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენებით და მედლით "მხედრული მამაცობისთვის"

დაიბადა 1952 წლის 22 ივნისს ცაგერის რაიონის სოფელ უცხერში. სკოლა დაამთავრა გალის რაიონის სოფელ მუხურში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1973 წელს სწავლა განაგრძო თბილისის საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელში. 1983 წელს დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის) სამხედრო საარტილეტიო აკადემია. იყო აჭარის ა/რ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი.

ზაურ უჩაძეს დიდი წვლილი მიუძღვის დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. სხვადასხვა დროს იყო ეროვნული გვარდიის პირველი ბატალიონის მეთაურის მოადგილე, განსაკუთრებული დანიშნულების პოლკის ბატალიონის მეთაური, ბრიგადის მეთაური, საქართველოს შეიარაღებული ძალების უფროსი. 1993 წლის მაისიდან თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის მეთაური, დასავლეთის მიმართულების სარდალი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი, საქართველოს გენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი. საქართველოს მინისტრის მოადგილე(1996-1998), საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი(2003) .

სამშობლოს დაცვაში გამოჩენილი მამაცობისა და მხედრული ვალის მოხდისთვის, სამხედრო სტრუქტურების ჩამოყალიბებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, გენერალ-მაიორი ზაურ უჩაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენებით და მედლით"მხედრული მამაცობისთვის".